



**საქართველო**  
**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის**  
**საკრებულო**



3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1 ტელ: (0496) 27-45-72  
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia. Tel: (0496) 27-45-72, info@ozurgeti.org.ge

N 59  
05/12/2018

59-06-4-201812051815



**დადგენილება N59**  
2018 წლის 5 დეკემბერი

**„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“  
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 12 იანვრის №1  
დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილის და „ნორმატიულიაქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის 4-ე პუნქტის თანახმად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

**და ა დ გ ი ნ ა :**

**მუხლი 1.** შეტანილი იქნეს ცვლილება „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 12 იანვრის N1 დადგენილებაში ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), 16/01/2018, 190020020.35.113.016321), და დადგენილებით დამტკიცებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით:

გაიზარდოს სულ შემოსავლების და გადასახდელების ნაწილში **1 666 186,77 ლარით:**

მათ შორის:

ა) გაიზარდოს შემოსავლების ნაწილში ტრანსფერები (სპეც. ტრანსფერი) **1 000 000 ლარით**

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 9 ნოემბრის #2168 განკარგულებით სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ოზურგეთის მუნიციპალიტეტს გამოეყო სპეციალური ტრანსფერი **1 000 000 ლარი**. სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განსახორციელებლად - **1 000 000 ლარი;**

ბ) გაიზარდოს შემოსავლების ნაწილში გრანტები (კაპ. გრანტი) **263 086,77** ლარით საქართველოს მთავრობის 2018 წლის 29 ოქტომბრის #1993 განკარგულებით ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელების მიზნით ოზურგეთის მუნიციპალიტეტს გამოეყო კაპიტალური გრანტი **263 086,77** ლარი.

მათ შორის:

- სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოების განსახორციელებლად - 263 086,77 ლარი;

გ) გაიზარდოს შემოსავლების ნაწილში გადასახადები , ქონების გადასახადი (კოდი 113) – **403 100** ლარით

**შესაბამისად გაიზარდოს:**

დ) საქართველოს მთავრობის #2168 განკარგულებით გამოყოფილი თანხიდან თანხიდან სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსება, არაფინანსური აქტივების ზრდა (ორგანიზაციული კოდი - 03 07 – 61.1.1.11.) – **1 000 000** ლარით;

ე) საქართველოს მთავრობის #1993 განკარგულებით გამოყოფილი თანხიდან ზოგადი განათლების ხელშეწყობა, სხვადასხვა კაპიტალური ხარჯი (ორგანიზაციული კოდი - 04 02 – 2.8.2.2.) - **263 086,77** ლარით;

ვ) ოზურგეთის საკრებულო, შრომის ანაზღაურება (ორგანიზაციული კოდი - 01 04 – 2.1.) – **36 000** ლარით;

ზ) მუნიციპალური ტრანსპორტი , სუბსიდია (ორგანიზაციული კოდი - 03 01 02 – 2.5.) – **6 000** ლარით;

თ) კომუნალური მომსახურების ცენტრი , სუბსიდია (ორგანიზაციული კოდი - 03 02 01 – 2.5.) – **34 500** ლარით;

ი) წყალსადენის შიდა ქსელის რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია, სუბსიდია (ორგანიზაციული კოდი - 03 02 04 – 2.5.) – **10 000** ლარით;

კ) სკოლამდელი განათლების დაფინანსება, სუბსიდია (ორგანიზაციული კოდი - 04 01 – 2.5.) – **200 000** ლარით;

ლ) ზოგადი განათლების ხელშეწყობა, სხვადასხვა მიმდინარე ხარჯების სხვა დანარჩენი მიმდინარე ხარჯი (ორგანიზაციული კოდი - 04 02 – 2.8.2.1.18.) – **25 000** ლარით;

მ) სპორტული ღონისძიებების დაფინანსება (ორგანიზაციული კოდი - 05 01 01 – 2.8.2.1.18.) – 10 000 ლარით;

ნ) სპორტული ობიექტების დაფინანსება, სუბსიდია (ორგანიზაციული კოდი - 05 01 02 – 2.5.) – 40 000 ლარით;

ო) კულტურის ობიექტების დაფინანსება, სუბსიდია (ორგანიზაციული კოდი - 05 02 02 – 2.5.) – 11 600 ლარით;

პ) ლეიკემიით და ონკოლოგიური დაავადების მქონე პირების დახმარება, სოციალური დახმარება ფულადი ფორმით (პროგრამული კოდი 06 02 08 – 2.7.2.1.) – 30 000 ლარით;

ასევე ეცნობოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქართველოს ორგანული კანონის „ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ.გ“ და „ე.ე“ ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“-ს 69 -ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების და „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდექს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 3 ოქტომბრის #53 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად მერის მიერ გამოცემული #5395 (16/10/2018) და #6043 ( 29/11/2018) ბრძანებების შესაბამისად განხორციელებული ცვლილებები. კერძოდ, მერის#5395 (16/10/2018) # ბრძანების შესაბამისად :

**შემცირდეს:**

ჟ) ძვირადღირებული კვლევის (კომპიუტერული ტომოგრაფიის) ერთჯერადი დაფინანსება, სოციალური დახმარება ფულადი ფორმით (პროგრამული კოდი 06 02 18 – 2.7.2.1.) – 7 000 ლარით;

**შესაბამისად გაიზარდოს:**

რ) თირკმლის უკმარისობით დაავადებულ პირთა დახმარება, სოციალური დახმარება ფულადი ფორმით (პროგრამული კოდი 06 02 07– 2.7.2.1.) – 7 000 ლარით;

მერის#6043 (29/11/2018) # ბრძანების შესაბამისად :

**შემცირდეს:**

ს) კულტურის ღონისძიებების დაფინანსება, არაფინანსური აქტივების ზრდა (პროგრამული კოდი 05 02 01 – 61.1.1.20) – 30 000 ლარით;

შესაბამისად გაიზარდოს:

ტ) სპორტული ობიექტების დაფინანსება, სუბსიდია (პროგრამული კოდი 05 01 02 – 2.5. ) – 30 000 ლარით;

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

დარჩია დავით

საკრებულოს თავმჯდომარე  
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

